

## იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან.

მეთერთმეტე საუკუნის დამლევს ფილოსოფიურად მოაზროვნე ქართველთა წრეს მიემატა ერთი ადამიანი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ძველს ქართულ მწერლობაში; ჩვენ ვპყულისხმობთ „ფილოსოფოსს“ იოანე პეტრიწს, „კიმკიმელად“ ზედწოდებულს. ვინ იყო იოანე, სად და როდის მოღვაწეობდა იგი, ამის შესახებ თუმცა ბევრი დაწერილა.\*) მაგრამ საკმაოდ არაფერი გამოჩვენებულა. ვიცით მხოლოდ, რომ სწავლა-განათლება იოანეს საბერძნეთში მიუღია, სამწერლო მოღვაწეობა დაუწყო მაკედონიაში, 1048 წელს დაარსებულს (თუ განაზღვრებულს) პეტრიტწოს სახელოვან ქართულ მონასტერში (საიდანაც მან მაიღო ზედმეტი სახელი „პეტრიწი“ ანუ „პეტრიწონელი“, ხოლო დაუსრულებია იგი საქართველოში, სადაც ის მოქსწრება დიმიტრი პირველის მეფობას. იოანე ერთი იმ მეცნიერთაგანი იყო, რომელნიც კელს უწყობდნენ საქართველოში ნეოპლატონურ ფილოსოფოსთა იდეების და თხზულებათა გავრცელებას და პოპულარიზაციას. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი სამწერლო მოღვაწეობა მარტო ფილოსოფიით არ განისაზღვრებოდა, მას უხვად უთარკმნია საღვთისმეტყველო თხზულებებიც, განსაკუთრებით ეგზეგეტიურ ხასიათისა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ იოანეს საღვთისმეტყველო ეგზეგეტიურ ნაშრომთა შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა, თუ არა ერთი შემთხვევითი შევლენა. მეოვრომეტ საუკუნის კელნაწერებში ჩვენ გვხვდება ასეთი თხზულება: 1. „იოანესა ფილოსოფოსმან კიმკიმელმან ელაღელთა კმისაგან სპანთ მოსახელედ კმად გარდამოიღო თარგმანება წმიდისა ევანგელიისა. საბარება მარკოზისი“; 2. „იოანესა ფილოსოფოსმან კიმკიმელმან ელაღელთა კმისაგან სპანთ მოსახელედ კმად გარდამოიღო თარგმანება წმიდისა ევანგელიისა. საბარება ლუკასი“. აქედან ჩანს, რომ იოანე კიმკიმელს მარკოზისა და ლუკას საბარების განმარტება გადმოუღია „ელაღელთა“ ანუ

\*) იხ. Н. Марр. Иоанн Петритаский, грузинскій неоплатоникъ XI—XII вв. ს. გორგაძე, ნემესიოს ემესელი: ბუნებისათვის კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ; მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი 2.

ბერძენთა „კმისაგან“ სპანთ მოსახელედ, ესე იგი ქართულ „კმად“. ქართულ ენის „სპანთა“ ანუ ისპანელთა ენის მოსახლეობა ზნათესაობა ძველი დროის ტრადიციად. როგორც ეს ჩანს ექვთიმე ათონელის ცხოვრებიდან, სიდაც ჩვენ ეჭვითხელათ: „შემდგომად ჟორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იო-ანე, რათა აღიღოს ძე თჳსი და რადედენნიმე მოწათენი და ივლტო-ღის სპანიად. რამეთუ ასმოღა, ვითარჲედ ქართველნი არამცი-რედნი ნათესავნი და ეჴნი მკვლ არაან მუნ“-<sup>ა</sup>. თუმცა თავის-თავად ცხადია, რომ აღნიშნულ „თარგმანებათა“ შემომოყვანილ სათაურს, რომელიც იოანეს „ფილოსოფოსად“ და „ქიმქიმელად“ იკსენიებს, თვით იოანეს ეჴ მიეკუთვნებოდა ეს შემდეგი დროის ვადამწერალთა გლოსსად. მაგრამ, ეს გარკვევა უფლებას არ გვა-ძლევს იქი შეკრთნათ იმაშიაც, რომ თვით ამ თხზულებათა ვადამწერალთა იოანეს ეკუთვნის და არა სხვას ვიანქ; ამისი უტ-უტარი საბუთი თარგმანთა გარეგანი მკარე და სტილი, რომელიც ჩვენს წინ აყენებს იოანეს სამწერლო ნორმებს, რომდ: ნადაც ამ ნორმებს იოანეს ექვემდებარებული შრომები გვაცნობს. ამ თავად ჩვენ შემდეგი საკითხი გვანტერესებს: ვისი თხზულებად მარკოზისა და ლუკას „სახარებათა განმარტება“-<sup>ა</sup>, რომელიც იოანეს უთარგმნია? საქმე ისაა, რომ საქრისტიანო მწერლობის ისტორიამ ბევრი ამ-გვარი ნაწარმოები იცის. ნ. მარო მარკოზის „განმარტების“ შესა-ხებ შეპნიშნავს, რომ ის იოანე ოქროპირის თხზულებად; ამავე აზ-რისად მ. ჯანაშვილი და იოანე ნათლისმცემლის წიგნთსაცავის კა-ტალოგიზატორი, რომელსაც ლუკას სახარების „განმარტების“ ყდა-ზე მიუწერია: „თარგმანება წმიდისა ლუკას სახარებისა იოანე ოქ-როპირის მიერ“ (საეკლ. მუხ. № 113). საიდანაა ამოღებული ასე-თი ცნობა, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ უნდა შევწავნოთ, რომ ის სინამდვილეს არ შეესაბამება; იოანე ოქროპირის შრომა ქართულად გადმოიღო ექვთიმე ათონელმა და არა იოანე პეტრიწმა, თხზულე-ბათა შედარებაც გვიმტკიცებს, რომ პეტრიწის მიერ თარგმნილი „მარტება“ სხვაა და იოანე ოქროპირისა სხვა. უკანასკნელი დროის კვლ ვადიებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ პეტრიწის მიერ თარგმნილი ლუკა-მარკოზის სახარებათა „განმარტება“ ეკუთვნის საეკლესიო ისტ-ორიანი კარგად ცნობილ მწერალს თეოფილაქტე ბულდარელს.

ნეტარი თეოფილაქტე დაიბადა აბერქანეთში კუნძულ ევბეაზე, დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში; სწავლა-გა-

<sup>ა</sup> ათონის ივერ. მონასტრის 1074 წ. ხელთნაწ. აღაპებით, გვ. 19.

ნათლება მიიღო კოსტანტინოპოლში, სადაც შემდეგ პატრიარქის დიკონი გაკდა და საღვთო წერილის განმარტება და ქადაგებათა წარმოთქმა დაეუღლა. ამ თანამდებობაზე მან გამოიჩინა შესანიშნავი საორატორო ნიჭი და განსაკუთრებული ერუდიცია როგორც საღვთისმეტყველო. ისე „გარეშეთა“ ანუ საერო-საწაზმარო მწერლობაში, უფრო კი ფილოსოფიაში, რის გამო მან „რიტიკოთა მოძღვრის-სახელწოდება დაიშასხრა. ის დაიხსლოვეს იმპერატორმა პიქალდუკამ (1071-1078 წ.) და მისმა მეუღლემ მარიამმა და მიანდევს ტახტის მემკვიდრის, კოსტანტინეს, აღზარდა. 1071-1081 წლებში თეოფილაკტე დაინიშნა ახრიდის მთავარეპისკოპოსად ბულღარიაში, რომელიც იმ დროს კოსტანტინეპოლის პატრიარქატის სეჟსარხოსოს შეადგენდა. აქ ის თავგამოდებით მუშაობდა ბულღარეთის ეკლესიის საკეთილდღეოდ და სამწერლო მოღვაწეობისათვისაც. მშოულობდა დროს. მის თხზულებათა შორის ყველაზე მეტი ყურადღების ღირსი ახალი აღთქმის „განმარტებაა“, რომელშიაც თეოფილაკტემ იოანე ოქროპირისა და თეოდორიტე კპრელის ლეთისმეტყველებას მოედენილად შეუყავშირა ნტიურ ა თანამედროვე ფილოსოფიურ აზრთა მიმდინარეობას. გარდაიცვალა ეს არაუგვიანეს 1107 წლისა\*.

აი ამ თეოფილაკტეს ეკუთვნის მარკოზისა და ლუკას სახარებათა „განმარტება“, რომელიც იოანე ფილოსოფოსს უთარგმნია ქართულად. თეოფილაკტეს თხზულებათა თარგმნაში პეტრიწი კლმძღვანელობდა როგორც მათი ღირსება-ვითარებით, ისე მათ ავტორთან პირად დანოკიდებულობით. ყოველ ეკვს გარეშეა, რომ იოანე თეოფილაკტეს პირადათ იცნობდა ჯერ კიდევ საბერძნეთში. ჩვენ ვთქვით, რომ თეოფილაკტე სწავლობდა კოსტანტინეპოლში, სადაც შემდეგ მან სახელი გაითქვა, როგორც ორატორმა და განსაკუთრებულ ერუდიციის პატრონმა. აი აქ გაიცნობდა მას იოანე ფილოსოფოსი, ვინაიდან იოანემ განათლება მიიღო არა ათინაში, როგორც ამას გადმოგვცემს ავტორი „მცირე უწყებებისა ქართველთა მწერალათათვის“<sup>2</sup>, ათინა ამ დროს განათლების ცენტრად აღარ ითვლებოდა საბერძნეთში, არამედ, უნდა ვითქროთ, კოსტანტინე მონომაქის მიერ 1044-1047 წლებში დაარსებულ აკადემიაში, რომელიც ელლინთა რენესანის კერად გადაიქცა<sup>3</sup>. შესაძლებელია, თეოფილაკტე

\* ) კ. კრუმბახერი, ისტ. ბიზანტ. ლიტერ. 2 გამ., გვ. 133-134

(გერმ. ენაზე). 2) ძველი საქართველო, ტ. 1, განუ. 3. გვ. 14

3) Проф. С к а б а л а н о в и ч ъ, Византийская наука и шко-

და იოანე სკოლის ამხანაგებიც კი იყვნენ. 1078-1081 წლებში თეოფილაქტე ბულგარიის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა, ხოლო 1083 წელს ახალ სანწყსოს ერთერთ პუნქტში. სახელდობრ პეტრიტ-კოში, გრიგოლ ბაქურიანმა, ექვს გარეშეა, -მისი კურთხევით და ნე-ართევით, ქართული მონასტერი დააარსა. შესაძლოა, კონსტანტინო-პოლში განმტკიცებულმა ნაცნობობა-მეგობრობამ და სიყრმის ამხა-ნაგთან სიახლოვის სურვილმა იოანე აიძულა გადასულიყო ახლად დაარსებულ ქართველთა პეტრიწონისის სავანეში, საიდანაც ის დაბ-რუნდა სამშობლოში მეოთხეტე საუკუნის დასაწყისს, \*) საუიქრე-ბელია, თეოფილაქტეს სიკდილის შემდეგ, რომელიც, როგორც ზე-ვითა ეთქვით, გარდაიცვლია არა უგვიანეს 1107 წლისა.

მარტო მარკოზისა და ლუკას „განმარტება“-თარგმნა იოანემ, თუ კიდევ სხვა რამე? -მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვს-დაბეჯითებით ამბობს. რომ იოანემ გადმოიღო „სახარებისა თარგმან-ნი: ლუკასი და მარკოზის თაენი“. უეჭველია, ამ სატყვებს სარწულად უძევს მხოლოდ და მხოლოდ ის სათაური, რომელიც -მცირე უწყე-ბის- ავტორმა (1822-1823 წ.) მეტვრამეტე საუკუნის კელნაწერებში ამოიკითხა. ზედმეტი ცნობა კი, მარალაც, არა დარჩენილა რა. მაგ-რამ ეს კიდევ იმას არ ჰნიშნავს. რომ იოანეს აპის მეტი სხვა არა ეთარგმნოს რა თეოფილაქტედან. უკანასკნელმა ერთ წიგნად გამოა-ქვეყნა ოთხთავე მახარებელთა განმარტება, მაშასადამე ჩვენ უნდა ვი-ფიქროთ, იოანე გადმოიღებდა ოთხივე წიგნის განმარტებას და არა ლუკა-მარკოზისას მარტო. მართალია, მარკოზის „განმარტების“ თარ-გმანს ჩვენამდის არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში აქ უნდა ესწავლოს, იოანე ჰიმეიმელთან ერთად, არსენი იყალთოელსაც, რომელსაც დიდი გავ-ლენა ეტყობა ამ აკადემიის თანამედროვე პროფესორებისა, მაგ. მი-ქაელ ჰელისა, იოანე ქსიფილინოსი და სხვ. (იხ. ჩვენი Грузинская версия арабскаго житія св. Іоанна Дамаскина: Христiанскій Вос-токъ, т. 3, стр. 140—141)

лм вѣ. XI с.: Христ. Чтение, 31 1884 г. Мартъ-Апрѣль, стр. 356—358. Н. Маррѣ, Іоаннъ Петритскій... стр. 49—52. ყველა ის ქართველები, რომელთაც მეთოდოური სასკოლო განათლება მიუ-ლიათ სამეგრელოში მე-11—12 საუკუნეში, ექვს გარეშეა ამ აკადე-მიაში სწავლობდნენ. ყოველ შემთხვევაში აქ უნდა ესწავლოს, იოანე ჰიმეიმელთან ერთად, არსენი იყალთოელსაც, რომელსაც დიდი გავ-ლენა ეტყობა ამ აკადემიის თანამედროვე პროფესორებისა, მაგ. მი-ქაელ ჰელისა, იოანე ქსიფილინოსი და სხვ. (იხ. ჩვენი Грузинская версия арабскаго житія св. Іоанна Дамаскина: Христiанскій Вос-токъ, т. 3, стр. 140—141)

\*) ს. გორგაძე, ნემესიოს ემესელი: ბუნებისათვის კაცისა გვ. XIV



ასე რომ ჩვენ დღეს შეგვიძლია აღვადგინოთ მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებათა, აგრეთვე პავლეს ეპისტოლეთა ტექსტი აზნაირად. ამ თარგმანში შენახულა ახალი, დამოუკიდებელი რეცენზია ბიბლიური ტექსტისა, რომელიც ეკუთვნის იოანე პეტრიწს. თუ რამდენად განსხვავდება ეს რეცენზია ადრინდელისაგან. მაგალითად გიორგი მთაწმინდელის რეცენზიისაგან, სანიმუშოდ ჩვენ მოვიყვანოთ სახარებათაგან რამდენსამე ადგილს.

გიორგი მთაწმინდელი

იოანე პეტრიწი

(სახარება მარკოზისი, თავი იე, მუკლი 12 15)

და ეთარკა შემწუხრდებოდა, და ეგერა მწუხრისა მოწვენასა, რამეთუ პარასკევი იყო, რომელ არს ვინაჲდგან პარასკევი იყო, რომელ უწინარეს შაბათისა, მოვიდა იოსებ არს უწინაჲს შაბათისა. მოვიდა არიმათიელი შეენიერი მზრახული, იოსებ არიმათელი, შლენიერი გან-რომელი იგიცა მოელოდა სასუფე-მზრახი, რომელი იგიცა მომლოდეველსა ღმრთისასა; იკადრა და იყო სასუფეველსა ღმრთისასა; მკად-შევიდა პილატესა და მოითხოვა რებელი შევიდა პილატეს მიმართ გუამი იესოსი. ხოლო პილატესა და ითხოვნა კორცნი იესუსსნი. ხო-დაუჯკრდა. უკუეთუ აწვე მოკუდა, ლო პილატეს დაუჯკრდა უკუ-და მოუწოდა ასისტავსა მას დაეთუ ეგერა მოკუდა და მიმწოდე-ჰკითხა, უკუეთუ ადრევე მოკუდა? მელმან კენტკრონისამან ჰკითხა მას და ისწაჳა ასისტავისა მასგან ესე უკუეთუ ადრე მოკუდა და ისწა-და მიჰმადლა გუამი მისი იოსებს და უკრა კენტკრონისაგან, მიანიჰნა მან იყიდა არდაგი და გარდამოკ-კორცნი იოსებს, და მსყიდელ-სნა იგი ჯუარისა მასგან და წარ-მან სინდონისამან და გარდამოკ-გრაგნა იგი არდაგითამით და და-ქსნელმან მისმან წარგრაგნა სინ-სდუა იგი საფლავსა, რომელი იყო-დონსა და დასხნა ივინი საფლავსა რომელი იყო გამოკუეთილ კლდისაგან, და მი-რომელი იყო გამოკუეთილ კლდი-აგორვა ლოდი კარსა ზედა მის სა-საგან. და მიაგორვა ლოდი კარსა-ფლავისასა. იყო მუნ მარიამ მაგ-ზედა საფლავისასა. ხოლო მარიამ-დალინელი და მარიამ იოსესი მალდალინელი და მარიამ იოსისი და ზედვიდეს, სადა იგი დასდებ-ჰხედვიდეს სადა დაიდების.

(სახარება ლუკასი, თავი ა, მუკლი 1—1).

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>ვინააღდან უკუე მრავალთა კელ-<br/>         ჰყვესაღწერად მოთბრობისა საქმე-<br/>         თათვს გულსავესე ქმნილთა ჩუენ<br/>         შორის, ვითარცა იგი მომცეს ჩუენ<br/>         რომელნი დასაბამითგან თვთმხილ-<br/>         ველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სი-<br/>         ტყვსა მის, ჯერმიჩნდა მეცა, რომ-<br/>         ელი შეუდეგ პირველითგან ყოვ-<br/>         ლითა ჰეშმარიტებითა, შემდგომი-<br/>         თი შემდგომად მიწერად შენდა, თეოფილე,<br/>         მენეო ღმრთის მოყუარეო თეოფი-<br/>         ლე, რათა სცნა, რომელთათვის იგი<br/>         ისწავე სიტყუათა მათ კრძალუ-<br/>         ლებაჲ.</p> | <p>ვინააღდან მრავალთა კელ-ჰყვეს<br/>         ალწერად მითბრობისა საქმეთათვს<br/>         გულსავესე ქმნილთა ჩუენ შორის,<br/>         ვითარცა მომცეს ჩუენ დასაბამით-<br/>         გან თვთმხილველ და მსახურ ქმნილ-<br/>         თა სიტყვსათა. მთნდა მეცა შე-<br/>         დგომილსა ზემოთგანე ყოვლითა<br/>         კრძალულებითა შემდგომითი შემ-<br/>         დგომად მიწერა შენდა მტკიცეო<br/>         თეოფილე, რათა შეემეცნო რომელ-<br/>         თათვს ისწავე სიტყუათა კრძა-<br/>         ლულებასა.</p> |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

(სახარება იოანესი, თავი ა, მუკლი 14 15, 18).

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>და სიტყუაჲ იგი კორციელ იქმ-<br/>         ნა და დაემკვდრა ჩუენ შორის და<br/>         ეხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ<br/>         ეთარცა მხოლოდშობილისა მამი-<br/>         ა მიერ, სავსე მადლითა და ჰეშ-<br/>         მარიტებითა. იოანე წამა მისთვს<br/>         ლალად ყო და თქუა: ესე არს, რო-<br/>         ჟლისათვს იგი ვთქუ: რომელი ჩემ-<br/>         სა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწი-<br/>         ნარეს იყოს, რამეთუ პირველ ჩემ-<br/>         სა არს.</p> | <p>და სიტყუაჲ კორცი იქმნა და დაი-<br/>         კარეა ჩუენ შორის და ეხილეთ<br/>         დიდებაჲ მისი, დიდებაჲ, ვითარცა<br/>         მხოლოდ-შობილისა მამისა მიერ,<br/>         სავსე მადლითა და ჰეშმარიტები-<br/>         თა. იოანი წამა მისთვს და ლა-<br/>         ლდებდა მეტყუელი: შემდგომად<br/>         ჩემსა მომავალი წინაჲთ ჩემსა იქმ-<br/>         ნა, რამეთუ პირველ ჩემსა იყო.</p> |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

ღმერთი არაჲინ სადა ეხი-  
 ლა, მხოლოდშობილმან ძემან, მყოფმან წიაღთა შორის მამისათა,  
 რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა.  
 მან გამოთქუა.

რაც შეეხება იოანე პეტრიწის მიერ თეოფილაქტეს -განმარ-  
 ტებათა“ თარგმანის ენას და საზოგადოთ სტილს, უნდა შეეპნიშ-  
 ნოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ შევკვიდრია სავესებით გაფიქვოროთ  
 ის დახასიათება, რომელიც უძღვნა მას ნ. მარმა 1). სანიმუშოდ მო-

ვიყვანთ რამდენსაჲ სტრაქანს იოან. I, 2 თარგმანებიდან: „რამეთუ რომელიმე არს შინაგან მდებარე, რომელი გაქუს არ მოუბნართა-ცა და იტყვ მზრახველობისასა. და რამეთუ მძინარსაცა ვისმე და არ-მოუბნარსა ეგრეცა აქუსვე მის შორის მდებარე სიტყუაჲ და ძალი არ განუვდიეს, და რომელიმე უკუე არს შინაგან მდებარე. ხოლო რომელიმე წარმოჩენითი, რომელსა ბაგეთა მიერ წარმოვაჩენთ. მე ტყუელებისა ძალსა შინაგან მდებარისა და შორის დაღებულისასა მოქმედებად წარმომადგენელნი მზრებლყოფასა უკუე სიტყვასასა. არც ერთი მათი მოესაგების ძესა ღმრთისასა, რამეთუ არცა წარმოჩენი-თი, არცა შინაგან მდებარე არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ. რამეთუ იგი-ნი ვიდრეჲ ბუნებაჲნი და ჩუენებურნი. ხოლო მამისა სიტყუაჲ ზე-შთბუნებისად გყოფი არ ქჷმშეშეუვრდების ქუენითა კელოვნად მეტყუელებათა ვინაჲცა დაეკუეთების ელლინისა პორფირის მოსი-ბრძნებული. რამეთუ იგი დარღუეუად სახარებისა მეცადინი. ესე ვი-თართა იკუმეკს განწულებათა“ (საეკლ. მუზ. № 2, ფურც. 2).

ამნაირად, ჩუენ წინ იშლება რამდენიმე ახალი, დღევანდლამდე უცნობი, საისტორიო სალიტერატურო ფაქტები. იოანე პეტრიწს რომელსაც სწავლა-განათლება უნდა მიეღოს კოსტანტინოპოლის აკა-დემიაში პეტრიწონის ქართველთა მონასტერში უთარგმნია ბერძნული-დან თავისი სიყრმის ამხანაგის და მეგობარის, თეოფილაქტე ბულ-ლარელის, თხზულებათაგან:

1) განმარტება მათეს სახარებისა, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ აღმოჩენილა.

2) განმარტება მარკოზის სახარებისა, რომელიც დაცულია სა-ეკლ. მუზეუმის № 102 და წერა-კითხვის საზოგ. № 101 კელნაწერებში.

3) განმარტება ლუკას სახარებისა, რომელსაც ჩვენამდის მოუღ-წევია საეკლ. მუზეუმის № 113, 281 და წერა-კითხვის საზოგ. № 3025 კელნაწერებში.

4) განმარტება იონეს სახარებისა, რომლის უნიკუმი ინახება საეკლ. მუზ. № 52 კელნაწერში.

5) განმარტება პავლე მოციქულის ეპისტოლეთა, რომელიც ნაკ-ლულად შენახულია საეკლესიო მუზეუმის უნიკუმში № 390.

აქ „განმარტებათა“ თარგმნის დროს იოანეს მოუცია ახალი



რეცენზია აღნიშნულ საღვთო წიგნთა ტექსტისა, რომელიც თვალსაჩინოდ განსხვავდება წინადროის რეცენზიებისაგან.

თეოფილაქტეს „განმარტებათა“ ტექსტის კრიტიკისათვის იონე პეტრიწის ქართულ თარგმანს, როგორც დედნის გამოქვეყნების თანამედროვეს, უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

კონს. კიკელიძე.

